პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 122 (19863) ხუთშაბათი, 28 მაისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ტელევიზიას — საუკეთესო ტექნიკა

დავაჩქაროთ ტელერადიოცენტრების მოდერნიზაცია

ტრავმის დარწმუნება არ არის საჭირო იმაში, რომ დღეს ტელევიზია მოსახლეობის უმრავლესობაში შესვლულებების, აზრების, მნიშვნელოვანი ორიენტაციების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არხია. იგი გახდა ჩვენი სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, იდეოლოგიური მუშაობის, პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის ქმედითი საშუალება.

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა ტელემაუწყებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. კოსმოსურმა სისტემებმა „ორბიტამ", „ეკრანმა", „მოსკოვმა" დასახეს ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების მაყურებელთა აუდიტორიის საგრძნობი გაფართოების შესაძლებლობა. საბჭოთა ტელევიზორები გადაყვანილია ფერადგამოსახულებიან რეჟიმზე. მეტი გამოდის თანამედროვე ტელევიზორები, უმჯობესდება სტუდიების მოწყობილობა.

XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული ხუთწლედის დამლევისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე ძირითადად ყველგან უზრუნველყოფთ ტელევიზიის ორი პროგრამის მიღება. ეს მით უფრო საჭირო, რომ დღეს ჯერ კიდევ 20 მილიონამდე საბჭოთა ადამიანს, ძირითადად სოფლის მცხოვრებლებს, არა აქვს საშუალება ნახოს ტელეგადაცემები მოსკოვიდან, ქვეყნის ყოველ მეშვიდე მცხოვრებს შეუძლია ნახოს მხოლოდ ერთი პროგრამა. მოსახლეობის ბევრ საყვედურს იწვევს ფერადგამოსახულებიანი ტელევიზორების მდარე ხარისხი, ის, რომ ნელა ინერგება ტელეგადაცემების კოლექტიური მიღების დიდი სისტემები.

დამამზადებელი ქარხნების მიერ ტელეცენტრებისათვის მოწყობილობის მიწოდების დისციპლინა ამ ბოლო დროს მტკიცდება. მაგრამ ჯერ კიდევ ხშირია გრაფიკის ჩაშლის შემთხვევები. ნელა ასრულებენ ტელევიზიის საჭიროებისათვის მიწოდებასთან დაკავშირებულ ვითარებას ქიმიური მრეწველობის სამინისტროს საწარმოები. საქმეს ისიც უშლის ხელს, რომ მოწყობილობისა და მასალების მიწოდება ურიტმოდ ხდება. როგორც ჩანს, მათი მეტი ნაწილი ხორციელდება დაგეგმილი წლის დამლევს. შეუწყნარებლად ჭიანურდება სამეურნეო ხელშეკრულებების დადება. მდგომარეობა უფრო სწრაფად უნდა გამოსწორდეს.

გასული წლის ივნისში „პრავდა" აღნიშნავდა, რომ მთელი რიგი სამინისტროებისა და დამამზადებელი საწარმოების ხელმძღვანელებს უხალისოდ, დიდი ზომოქმედებით შეაქვთ გეგმაში ტელემაუწყებლობისათვის საჭირო ახალ სახეობათა მოწყობილობის გამოშვება. გაზეთის გამოსვლები განიხილეს სამინისტროების აპარატების, ინსტიტუტებისა და საწარმოების პარტკომების სხდომებსა და პარტიულ კრებებზე. სამეურნეო ხელმძღვანელთა შეგნებაში გარკვეული ძვრა შეინიშნება. მაგრამ ტელევიზიის საარსებო საჭიროებებისადმი მათი დამოკიდებულების ძირეულ შეცვლაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. სამინისტროებისა და საწარმოების პარტორგანიზაციებს, პარტკომებს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ მუშაობის ეს მნიშვნელოვანი უბანი.

დღემდე მრავალი ინსტიტუტი და ქარხანა მზად არ არის ახალ სახეობათა სატელევიზიო ტექნიკის შექმნისა და ათვისებისათვის. სსრ კავშირის სახტელერადიოსა და კავშირგაბმულობის სამინისტროს შეკვეთები მათ ხშირად მეხივით ეცემათ თავზე. სამინისტროები, ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ბიუროები და საწარმოები არ ამოწმენზებენ ამ ტექნიკის განვითარებას, სუსტად ზრდიან მის გამოსაშვებ სიმძლავრეებს, წინასწარ არ ამზადებენ საჭირო კადრებს. მხოლოდ ამით შეგვიძლია ავხსნათ კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტროს მიერ სატელევიზიო ეურნალისტური კომპლექტების, ტელეკინოსაკამერების, რადიოსადგურებისა და რეტრანსლატორების, მოძრავი სატელევიზიო სადგურებისათვის განკუთვნილი ახალი კამერების, მანქანამშენებლობის სამინისტროს მიერ ახალი ვიდეომაგნეტოფონების წარმოების უაღრესად ნელი ორგანიზაცია.

განსაკუთრებით გვაწუხებს ის, რომ ტელევიზიის ტექნიკის გამომშვები წამყვანი საწარმოები დიდ სიძნელეებს აწყდებიან სიმძლავრეთა ზრდაში. კონსერვაციის საფრთხე ექმნება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ფილიალის მშენებლობას, რომელიც ქმნის და უშვებს მძლავრ ვაკუუმტუბ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობისათვის. უკრაინის სსრ მშენებლობის სამინისტრო და სსრ კავშირის მშენბანკი კიდევ ერთხელ უნდა დაუბრუნდნენ ამ მშენებლობას. ჯერ არ დაწყებულა და უკვე დიდი დავის საგანი გახდა შეთაური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებისათვის ახალი მოედნის მშენებლობაც. ლენინგრადის ოპტიკურ-მექანიკურმა გაერთიანებამ ხუთწლედის მანძილზე რვაჯერ უნდა გაზარდოს სახტელერადიოსათვის ნაწარმის გამოშვება. წარმოება კი შეყოვნებულია ოცდაათიან წლებში ამენებული „კინაპის" შენობაში.

მრავალი გადაუდებელი პრობლემა დაუგროვდა დარგობრივ მეცნიერებას. ლენინგრადის ტელევიზიის შეთაური საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გადატვირთულია დავალებებით, მაგრამ არა აქვს მცირე სერიების ქარხანა. ინსტიტუტის საექსპერიმენტო ბაზა დიდი ხანია არ შეესაბამება გადასაწყვეტ ამოცანებს, მაგრამ კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო მასაც ტვირთავს სერიული პროდუქციის გამოშვებით. დროა კომპლექსურად მივუდგეთ ამ ინსტიტუტის მეცნიერული, საწარმოო, საექსპერიმენტო და სოციალური ბაზის განვითარებას. სსრ კავშირის სახტელერადიოს მოსკოვის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი არ განვითარებულა, ნელა ძლევს ტელემაუწყებლობის პრაქტიკისაგან მოწყვეტას. არადა, სწორედ ამ ინსტიტუტმა უნდა გაითვალისწინოს მისი საჭიროებანი, დასახოს ტელეცენტრებისათვის ტექნიკის განვითარების გზები, გაიაზროს სატელევიზიო გადაცემების შექმნის მთელი ტექნიკურ-ტექნოლოგიური ჯაჭვი. ლენინგრადის პოპოვის სახელობის რადიოსამაუწყებლო მიღებისა და აკუსტიკის ინსტიტუტს უკანასკნელი ათი წლის მანძილზე არ შეუქმნია ტელევიზიისათვის ახალი ბვერითი მოწყობილობა. უნდა გავაძლიეროთ ყურადღება დარგობრივი მეცნიერებისადმი, განვამტკიცოთ მისი ბაზა და შემოვაბრუნოთ წარმოებისაკენ.

უკანასკნელ წლებში სერიოზული დამმუშავებლები გახდნენ შიაულაის სატელევიზიო ქარხნის სპეციალისტები. აქ შექმნილი აქვთ მოძრავი სატელევიზიო სადგურების, სახტუდიო მოწყობილობის შექმნის გამოცდილება. უაღრესად შემჭიდროებულ ვადებში შექმნილმა რთულმა ტექნიკამ საბჭოთა და საზღვარგარეთელი სპეციალისტების საუკეთესო შეფასება დაიმსახურა. ნუთუ დრო არ არის, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელებმა იფიქრონ, რომ ტელეცენტრებისათვის მთელი სახტუდიო მოწყობილობის, აგრეთვე მოძრავი სატელევიზიო სადგურების შემუშავება დაავალონ შიაულაის ქარხანას? ამისათვის ერთიორად უნდა გაიზარდოს ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს სიმძლავრე.

მთლიანად საბჭოური მოწყობილობა, რომელიც დღეს იგზავნება სსრ კავშირის სახტელერადიოსა და კავშირგაბმულობის სამინისტროს ობიექტებში, ჩამოუვარდება საზღვარგარეთის საუკეთესო ანალოგებს. ამ მოწყობილობის თითზე ჩამოსათვლელ დასახელებებს აქვთ მიღებული ხარისხის უმაღლესი კატეგორია. დამამზადებელ სამინისტროებს, სსრ კავშირის სახტელერადიოს და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ მოემზადებინათ წინადადებანი, თუ როგორ ამაღლდეს მნიშვნელოვნად ამ ხუთწლედში გამოსაშვებად ნავარაუდევი სატელევიზიო მოწყობილობის ტექნიკური დონე. წელიწად-ნახევარი-ორი წელი ამ დოკუმენტის პროექტი სამინისტროთა უთანხმოებაში „ბუქსობდა". განა ასეთი ტემპით შეიძლება გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტა?

მრავალი ტელეცენტრი და რადიოსახლი განლაგებულია მოუმარჯვებელ შენობებში, სადაც არ შეიძლება დაიდგას თანამედროვე სამაუწყებლო აპარატურა. მაგრამ ახალი შენობების აგება არადამაკმაყოფილებელად წარმოებს. სახტელერადიოს ობიექტების მწყობრში ჩაყენების მარშანდელი გეგმა ჩაიფუშა. ხაბაროვსკში რადიოსახლი ლამის ოცი წელია შენდება, ბარნაულში — 1975 წლიდან. ფრუნზეში ტელეცენტრი ავარიულ მდგომარეობაშია, ახალი კი თორმეტი წელია შენდება. როგორ ურიგდებიან ამას ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები?

ტელევიზიამ უნდა მიიღოს ყველაზე თანამედროვე ტექნიკა, რომელიც იქმნება ელექტრონული, სხვა საკავშირო დარგების ქარხნებში. ეს ტექნიკა ხომ ჩვენი პარტიის იდეოლოგიური შუამავის მატერიალური ბაზის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ამ სფეროში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას შუდშივ კონტროლი უნდა დაუწესონ სამინისტროების პარტიულმა კომიტეტებმა.

ტელევიზიისათვის სრულყოფილი ტექნიკის შექმნა საშუალებას მოგვცემს უფრო სწრაფად გავიყვანოთ იგი თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, გავაძლიეროთ გავლენა ადამიანთა აღზრდაზე, გადავაქციოთ იგი გარდაქმნის კიდევ უფრო ბსრ და ზუსტ იარაღად.

„პრავდის" 27 მაისის მოწინავე.

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრები ნ. ჩაუშესკუსთან

25-26 მაისს ბუქარესტში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჩაუშესკუს შეხვედრები, რომელთა დროს მათ საფუძვლიანად გაუზიარეს ერთმანეთს აზრი სოციალისტური მშენებლობის, ორმხრივი ურთიერთობისა და მსოფლიო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ ფართო ისტორიული თვალსაზრისით სოციალიზმმა დაამტკიცა თავისი აღმშენებლობითი შესაძლებლობები, თუმცა გზად ბევრ სიძნელეს გადაწყდა. პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგი. ჩვენ უფლება გვაქვს აღვნიშნოთ სოციალიზმის უდიდესი ისტორიული მიღწევები. ამასთან ერთად ახლანდელ პირობებში ჩვენი ქვეყნის წინაშე დადგა ნაბიჯის გკეთოთ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დინამიზმის გაძლიერების ამოცანა. საბჭოთა ხელმძღვანელმა დაწერილებით ილაპარაკა, თუ როგორ სრულდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მითითება საბჭოთა საზოგადოების გარდაქმნის შესახებ, უწინარეს ყოვლისა მთელი მისი ცხოვრების ღრმა დემოკრატიზაციის მეშვეობით.

ნ. ჩაუშესკუმ მ. ს. გორბაჩოვს გააცნო ძირითადი მიმართულებები პარტიის მუშაობის იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც რუმინეთის კომპარტიის XIII ყრილობამ წამოაყენა. უპირველესი ყურადღება ეთმობა წარმოების მოდერნიზაციას, მეურნეობაობის ახალი მეთოდების გამოყენებას, რუმინეთის კომპარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცებას. მან აღნიშნა, რომ საჭიროა უკვე უახლოეს წლებში დაიძლიოს გარკვეული ჩამორჩენა ეკონომიკურ გაკვლევაში, წარმოების კოოპერირებასა და სპეციალიზაციაში.

ორი პარტიის ხელმძღვანელებმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობის გაღრმავების ეტაპებიანი საკითხები. აღინიშნა, რომ ამ ურთიერთობამ მნიშვნელოვან დონეს მიაღწია. მაგრამ ახალი ამოცანები აყენებს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობის მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების მოთხოვნას. საამისოდ საჭიროა იმ შესაძლებლობების ამოქმედება, რომლებიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში არსებობს. ნაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა შესრულდეს სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გრძელვადიანი პროგრამა, თვისებრივად გადაზარდოს ურთიერთმოქმედება ორმხრივ ისეთი პროგრესული ფორმების დანერგვის გზით, რომლებიც თანამედროვე პირობებს შეესაბამება. დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობას ზედნაშენის, შრომითი კოლექტივების, ორივე ქვეყნის მშრომელთა კონტაქტებისა და ურთიერთობის სფეროში.

ორივე მხარემ გამოთქვა მტკიცე გადაწყვეტილება ყველაფერი იღონონ, რათა სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის თანამოქმედება გათარდებოდეს საბჭოთა და რუმინელი ხალხების, სოციალიზმისა და მშვიდობის საერთო საქმის საკეთილდღეოდ.

შეეხო რა საერთაშორისო სიტუაციას, მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ მსოფლიოში არის არა მარტო ცალკეული სახელმწიფოებისა თუ სახელმწიფოთა ჯგუფების — სოციალისტური, კაპიტალისტური ან განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესები. არის ზოგადი, ურთიერთდაკავშირებული ინტერესებიც. უნდა შეგვეძლოს მათი შეთანხმების გზების გამოძებნა, ერთმანეთის ინტერესების პატივისცემა. ეს არის ახალი აზროვნების დედააზრი, რომელმაც უნდა შეცვალოს საერთაშორისო საქმეებისადმი ძველი, დრომოჭმული მიდგომა.

კაცობრიობის გლობალური პრობლემები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მეცადინეობით. ეს არის მშვიდობის განმტკიცებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, გარემოს დაცვის საკითხები, შიმშილის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემა.

განიარაღების პრობლემათა შორის, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, ყველაზე მწვავეა ევროპის მილიტარიზაციის პრობლემა. იარაღის გატანას კოსმოსში უსათუოდ მოჰყვება ურთიერთუნენდობლობის, ეჭვის ზრდა, ეს მსოფლიოს ნაკლებად სტაბილურს და მერყეს გახდის, გააძლიერებს გამალებულ შეიარაღებას, კაცობრიობის ბედს დამოკიდებულს გახდის შემთხვევითს ტექნიკურ შეფერხებებზე.

ყოველივე ეს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს მსოფლიოს ყველა სახელმწიფო მთავრობებს.

ნ. ჩაუშესკუმ განაცხადა, რომ განხილულ პრობლემათა უმრავლესობის მიმართ საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს იდენტური ან ახლო პოზიციები უკავიათ. იგი შეეხო კაპიტალისტური სახელმწიფოებისა და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობებში მეფეობენ ტალანტიანი ადამიანები, ოსმანის ასულ იაბნიძის, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის დამფასოებლის თინათინ თენგიზის ასულ შავგულიძის კანდიდატურებსაც, რომლებიც კოლექტივებმა დაასახელეს არჩევნებისწინა კრებებზე.

ლენინგორი. სოფელ ცხილონის მშრომელებმა ერთსულოვნად დაასახელეს სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მეცხოველეობის ფერმის ვეტფერშალი უპარტიო ანა თევდორეს ასული ბირიუკოვა. თითქმის 20 წელია იგი შრომობს მეურნეობაში. ადგილობრივი ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა კოლექტივში. როგორც რაიასაბჭოს დეპუტატი, ა. ბირიუკოვა ხალხის სხვა რჩეულებთან ერთად თავის ძალისხმევას ახმარს შუბლიური რაიონის შემდგომ აყვავებას, ხოლო მისი თანასოფლელი — კომკავშირელი ზამირა თებოს ასული ძაგოევა, რომელიც დასახელებულია ლენინგორის რაისაბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, პირველად გაატარეს რეგისტრაციაში საარჩევნო კომისიაში. ახალგაზრდობის მიუხედავად, ქალიშვილი განვლილი გამოზამთრების შედეგების მიხედვით დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისაკენ გაბლილი სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა შორის არის.

რუსთავი. დაუცხრომელი ენერგიით, რომელიც ახალგაზრდებსაც კი შეშურდებათ, გამოირჩევა შრომის ვეტერანი, რუსთავის პირველმკვალავი მარო ვიორგის ასული ტყავაძე. ქალაქელთა პატივისცემა მას მოუპოვია მეტალურგიული ქარხნის ენერგეტიკულ სამსახურში აქტიურმა და მრავალი წლის შრომამ, დიდმა საზოგადოებრივმა მუშაობამ, რისთვისაც იგი დაასახელეს საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა მ. ტყავაძე რეგისტრაციაში დაგზავნეს №6 ოლქში, სადაც იგი იყრის კენჭს. ამ კეთილშობილურ საბრძოლველ პირველ ნაბიჯებს დგამს საწარმოო ეკონომიკურ „აზოტის" ზენაკალი ალა ტიმოთეს ასული პოიმანოვა. ქიმიკოსთა კოლექტივის წინადადებით იგი დასახელებულია №4 საარჩევნო ოლქში საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, სადაც იგი რეგისტრაციაში გატარდა. გარდაქმნა, მიიჩნიათ გაერთიანებაში, მოითხოვს ახალგაზრდობის ენერგიასა და ინიციატივას. იმათ შორის, ვინც ხელს უწყობს ამას თავისი შრომით, არის კომკავშირელი პოიმანოვა, რომლისთვისაც პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები ერთნაირად მნიშვნელოვანია, რასაც ქალიშვილი ადასტურებს კიდევ ყოველდღიური მუშაობით.

რესპუბლიკის საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია გრძელდება.

(საქინფორმი).

ბუქარესტში „23 აგვისტოს" სახელობის ქარხანაში.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მასების ცოცხალ შემოქმედებაზე დაყრდნობით

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა ბუქარესტის მშრომელებთან

ბუქარესტი, 26 მაისი. (საკდესის სპეც. კორ. ა. ბელიკოვი, ო. შიროკოვი, გ. შიშკინი). დღეს მ. ს. გორბაჩოვი ეწვია საწარმოს „23 აგვისტოს", რომელიც დასპეციალებულია სხვადასხვა ტიპის თბომავლების, სხვა სახეობათა სარკინიგზო ტექნიკის, დიზელის აგრეგატების, ცემენტის ქარხნების მოწყობილობის, კომპრესორების წარმოებაზე.

მ. ს. გორბაჩოვს ახლდნენ რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი.

გაიმართა შეხვედრა საწარმოს მშრომელთა საბჭოსთან. საბჭოს თავმჯდომარემ, პარტკომის მდივანმა პ. რადუკანუმ და გენერალურმა დირექტორმა ა. რომუმ საბჭოთა სტუმარს გააცნეს წარმოება, კოლექტივის წარმატებები და პრობლემები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დაწვრილებით გამოიკითხა მრავალი საკითხი, კერძოდ ის, თუ როგორ ხდება საწარმოში პროდუქციის ხარისხისა და ნედლეულის დაზოგვის სტიმულირება.

ა. რომუ, გენერალური დირექტორი: სინამდვილეში ეს ასე ხდება. ვთქვათ, თუ საამქრო თავის გეგმას 105 პროცენტით ასრულებს, იცავს ელექტროენერგიის, მასალების ხარჯვის ნორმატივებს, უზრუნველყოფს ხარისხის დონეს, შრომელთა საბჭოს ანალიზის შედეგების მიხედვით ვახალისებთ კიდევ კოლექტივს.

მ. ს. გორბაჩოვი: თუ მუშის საშუალო თვიურ ხელფასს აკიდებთ, რამდენი პროცენტი უწევს მას ხარისხისათვის, მასალების დაზოგვის დავალებათა შესრულებისათვის წახალისებაზე?

ა. რომუ: 3-დან 5 პროცენტამდე.

მ. ს. გორბაჩოვი: როგორია მუშისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის საშუალო ხელფასის თანაფარდობა?

ა. რომუ: საშუალოდ ინჟინერს მუშასთან შედარებით 30 პროცენტით მეტი ხელფასი აქვს. რა თქმა უნდა, ითვალისწინებთ სხვადასხვა გამოცდილებას, კვალიფიკაციას, მუშაობის სტაჟს.

მ. ს. გორბაჩოვი: მაინტერესებს, რას მეტყვით თქვენს ქარხანაზე. რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიტყეთ მის შესახებ თქვენთან შეხვედრამდეც. სასიხარულოა, რომ სერიოზული გეგმები გაქვთ ხუთწლედისათვის. მინდა წარმატებები გისურვოთ მის შესრულებაში. ამხანაგ ჩაუშესკუსთან მოლაპარაკების დროს დიდი ადგილი დავუთმეთ ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხს გუშინაც და დღესაც. მარტოოდენ სპეციალურნვის მატბეთი უკვე ძნელია ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება. საჭიროა კოოპერაცია, სპეციალიზაცია, პირდაპირი კავშირურთიერთობა. ხოლო როცა მზად ვიქნებით, — ერთობლივი საწარმოების შექმნაც. ბუნებრივია, ეს შესაძლებელია, თუ ორივე მხარეს ექნება ამის სურვილი. მართალია, სურვილის გარდა აქ ეკონომიკაც საფუძვლიანად მოითხოვს თავისას. ან უპირატესად უნდა განვავითაროთ ჩვენი კავშირურთიერთობა, ეკონომიკური თანამშრომლობა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, ან უნდა სადღაც გაბზე ვიძებოთ სხვა ურთიერთობა. მსოფლიო ბაზარზე მდგომარეობა მეტად დაძაბულია. იქ საერთაშორისო იმპერიალიზმის ისეთი სანქმოსნები პარპაშებენ, რომლებიც სულ იმის ცდაში არიან, თუ როგორ მოიკიდონ ფეხი ჩვენს ეკონომიკაში. და ამას ახერხებენ კიდეც, ეს გაითვალისწინეთ. ამიტომაც განვავითარებთ ჩვენს თანამშრომლობას. იგი კი ეყრდნობა სოციალიზმის პრინციპებს, საერთო ინტერესებს, და არა იმას, თუ ვინ ვის მოატყუებს. ეს სრულიად სხვა სიტუაციაა. იგი იძლევა ყველა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში საიმედოობის, მისი დამოუკიდებელი ხასიათის გარანტიას. გარდა ამისა ჩვენს ურთიერთობას საფუძვლად ეუდებთ მატერიალური ურთიერთობის ყოველ უფრო მტკიცე ბაზას.

ამჟამად ახალი ეტაპია: იყო უბრალოდ ვაჭრობა, და რაღაც კოოპერაციული ურთიერთობა. მაგრამ ეს არ კმარა. ახლა ეს ახალი ურთიერთობა უნდა ავითვისოთ. თავისებურებანი ახასიათებს ეკონომიკის განვითარებასაც, სამეურნეო მექანიზმსაც. ამიტომ სიძნელეები იქნება. ისინი უკვე არის კიდეც. მაგრამ მათი დაძლევა შესაძლებელია. ამას დიდი ყურადღება დავუთმეთ. მე გავაკრიტიკე რუმინეთის მხარე, ამხანაგმა ჩაუშესკუმ — საბჭოთა. და დავთქვით, რომ მითითებებს მივცემთ ჩვენს მთავრობებს, ეკონომიკურ უწყებებს, უახლოეს ხანში საფუძვლიანად იმუშაონ იმისათვის, რომ გამოავლინონ თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობანი. ასე რომ, იმედი გვაქვს ამხანაგ ჩაუშესკუსთან ერთად ჩვენს სტუმრობას თქვენთან გაგრძელება ექნება. თქვენგან კი კარგ პროდუქციას ველით.

შარშან მომქმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრის დროს დიდი ბჭობა გაიმართა თანამშრომლობის ყველა პრობლემაზე. როცა ეკონომიკის საკითხებს განვიხილავდით, შევთანხმდით, რომ მეტ მოთხოვნებს წავუყენებდით ერთმანეთს. ეს ნაწარმის ტექნიკურ დონესაც ეხება და ხარისხსაც. მოდით, ჩვენც ასე მოვიმქმედოთ. ერთმანეთის საწარმოები არ გავიხადოთ უვარგისი პროდუქციის საყარ ადგილად. დღემდე ხშირად იყო ასე: ვარჩევდით დასავლეთში გასაგზავნ პროდუქციას, — ვალუტას ვშოულობდით. ერთმანეთისათვის კი ვცდილობდით, რაც ცუდი იყო, ის მიგვეყიდინა. განა ეს განმტკიცებს სოციალიზმს? თუ პროდუქცია მდარე ხარისხისაა და ტექნიკური დონის ცუდი მაჩვენებლები ახასიათებს, განა შეიძლება მისი მეშვეობით შრომის ნაყოფიერების გადიდება? ახლა რომ სერიოზული გეგმები გაქვთ ხუთწლედისათვის. მინდა წარმატებები გისურვოთ მის შესრულებაში. ამხანაგ ჩაუშესკუსთან მოლაპარაკების დროს დიდი ადგილი დავუთმეთ ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხს გუშინაც და დღესაც. მარტოოდენ სპეციალურნვის მატბეთი უკვე ძნელია ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება. საჭიროა კოოპერაცია, სპეციალიზაცია, პირდაპირი კავშირურთიერთობა. ხოლო როცა მზად ვიქნებით, — ერთობლივი საწარმოების შექმნაც. ბუნებრივია, ეს შესაძლებელია, თუ ორივე მხარეს ექნება ამის სურვილი. მართალია, სურვილის გარდა აქ ეკონომიკაც საფუძვლიანად მოითხოვს თავისას. ან უპირატესად უნდა განვავითაროთ ჩვენი კავშირურთიერთობა, ეკონომიკური თანამშრომლობა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, ან უნდა სადღაც გაბზე ვიძებოთ სხვა ურთიერთობა. მსოფლიო ბაზარზე მდგომარეობა მეტად დაძაბულია. იქ საერთაშორისო იმპერიალიზმის ისეთი სანქმოსნები პარპაშებენ, რომლებიც სულ იმის ცდაში არიან, თუ როგორ პრობლემები გაქვთ?

მუშის ხმა: პრობლემები არა გვაქვს!

მ. ს. გორბაჩოვი: როცა მშრომელებს ვხვდები, ზოგჯერ ასე მიპასუხებენ-ხოლმე. მე კი მათ ვეუბნები, ეს მართალი არ არის-მეთქი. მაშინ ისინი მეუბნებიან: პრობლემები ჩვენია და თავად გადავჭრითო. მე კი მშვენივრად მესმის, რომ პრობლემები გვაქვს. გორბაჩოვისა და ჩაუშესკუს დონეზეც, სამინისტროების, დირექტორების დონეზეც, მუშაკაცსაც აქვს პრობლემები. სხვაგვარად მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება.

მუშის ხმა: გვაქვს, ამხანაგო გორბაჩოვ პრობლემები, და რომ არ გვქონდეს, მართლაც მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება.

მ. ს. გორბაჩოვმა საწარმოს საპატიო სტუმრების წიგნში ჩაწერა:

„დიდი ინტერესით გავეცანი ქარხანას, გავიგე თუ როგორ წარმატებებს მიაღწია შრომითმა კოლექტივმა, რა საზრუნავი და სამომავლო გეგმები აქვს. თქვენს პროდუქციას კარგად იცნობენ რუმინეთის ფარგლებს გარეთაც, მათ შორის საბჭოთა კავშირში. იგი ცხადყოფს, თუ რა შორს წავიდა სოციალისტური მშენებლობის წლებში რუმინეთის მრეწველობა.

ამასთან სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ საწარმოს კოშენისტებს, მშრომელებს კარგად ესმით, თუ როგორ საჭიროა დაუცხრომელი შრომა ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ხომ არაფერი მიმიმატებია?

ნ. ჩაუშესკუ: მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა. სოციალიზმს ვერ ავაშენებთ, თუ არ გვექნება ტექნიკური განვითარების შესაბამისი დონე, არ შეგამცირებთ ნედლეულს, მასალებისა და ენერგორესურსების მოხმარებას. ჩვენ შევთანხმდით, რომ რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის საწარმოებმა ამის სრული გათვალისწინებით ერთად განახორციელონ წარმოების კოოპერაცია გარკვეულ სახეობათა ნაწარმის გამოსაშვებად.

საუბრის დროს — გუშინაც და დღესაც — მე და ამხანაგ გორბაჩოვს კარგად გვესმოდა ერთმანეთი, მაგრამ ყველა მორიგებას ხორცი უნდა შეასხან სამინისტროებმა და საწარმოებმა, თორემ ჩვენი მორიგებანი არ განხორციელდება.

მ. ს. გორბაჩოვი: კეთილ სურვილებად დარჩება. ჩვენ კი გვეპირდება რეალური მიღწევები და რეალური წინსვლა. პროგრესის გზით — ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზით წინსვლა.

მშრომელთა საბჭოს წევრებთან საუბრის შემდეგ დაათვალიერეს საამქროები და ესაუბრნენ მუშებს.

მ. ს. გორბაჩოვი: მოგესალმებით. კადრის მუშათა კლასი მალალი მუშური კვალიფიკაციაა. მომეკითხეთ თქვენი ოჯახები, თანამოსაქმე ამხანაგები, ეუსურვებთ წარმატებებს შრომაში.

საგჭოთა დელეგაცია პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე გაემგზავრა

27 მაისს ვარშავის ხელშეკრულების ქვანაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგ თათბირში მონაწილეობისათვის მოსკოვიდან ბერლინს გაემგზავრნენ საბჭოთა დელეგაციის წევრები. მას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. სოკოლოვი.

აღნიშნულ დელეგაციას გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ი. კ. ლიგაჩოვმა, ბ. ნ. ელცინმა, ვ. მ. ჩებრიკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა პ. ნ. დემიჩევმა, ნ.

როცა პარტიის რაიკომი მუშაობას არ გარდაქმნის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის მუშაობის გარდაქმნაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღინიშნულია, რომ გორის რაიონული პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად გარდაქმნის თავის მუშაობას, ჯეროვნად არ იყენებს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღრმა თვისებრივი ცვლილებების შესაძლებლობებს, რომლებიც დაისახა პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნვრის პლენუმის შემდეგ.

პარტიის რაიონული კომიტეტი კვლავ ძველებურად მუშაობს, ბევრს არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პრინციპულობისა და მომთხოვნელობის, ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისადმი შეურიგებლობის, მომწიფებული პრობლემების გადაჭრის ეფექტიანი გზების შემუშავებათი ძიების ვითარება მკვიდრდებოდეს თითოეულ შრომითს კოლექტივში. რაიონის ბევრი პარტორგანიზაცია შეეგუა საქმის არასასიკეთო ვითარებას. არ ეძებს წარმოების ზრდის რეზერვებს.

ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობაში პარტიის რაიკომი უპირატესად მიზნად ისახავს საერთო, მთლიანი მაჩვენებლების მიღწევას, უპირველეს მნიშვნელობას არ ანიჭებს ეფექტიანობისა და ხარისხის გამსაზღვრელ პარამეტრებს. 1986 წელს ვერ შესრულდა სახელშეკრულებო ვალდებულებათა მიხედვით მიწოდების გეგმა, დაშვებულია ჩამორჩენა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვებაში. დაბალ დონეზეა საქმე აგროსამრეწველო კომპლექსში, მეტი წილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უკანასკნელი წლების მანძილზე ვერ ასრულებენ ძირითადი სახეობის პროდუქციის — ხილის წარმოების გეგმას. შემცირდა მემცენარეობის პროდუქტების მოსავლიანობა, გაუარესდა ხარისხი. მთელ რიგ მეურნეობებში დაგეგმილი მოგების ნაცვლად მნიშვნელოვანი ზარალია. არ არის რეალიზებული აგრეთვე საცალო საქონელბრუნვისა და მოსახლეობის ძირითად სახეობათა საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმები.

პარტიის რაიკომი საჭიროა ყურადღებას არ უთმობს წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენებას. ყოვნდება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვა-გადამუშავების საწარმოთა რეკონსტრუქცია, ტექნიკური განახლება და პროფილის შეცვლა. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის გეგმა ვერ სრულდება. საკმაოდ აქტიურად არ იყენებენ მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემებს, ინტენსიურ ტექნოლოგიებს. სუსტად ვითარდება შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული კოლექტიური ფორმები.

არადამაკმაყოფილებელი შრომისა და საწარმოო დისციპლინის გამო დიდია სამუშაო დროის დანაკარგები, მაღალია კადრების დენადობის დონე. მეცირეა მუშათა და კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია მხოლოდ პირად და დამხმარე მეურნეობებში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი შრომის საყოფიერებაზე.

პარტიის რაიკომი და რაიაღმასკომი ცუდად მუშაობენ სოციალური საკითხთა გადასაწყვეტად. ბევრ სოფელში სისტემატურად არ მუშაობს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის ათობით ობიექტი. ხშირია შეფერხებანი ყოველდღიური მოთხოვნის საქონლით მოსახლეობის მომარაგებაში. მომსახურების მოცულობა რაონის ერთ სულ მოსახლეზე 5-ჯერ ნაკლებია საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელთან შედარებით. სუსტია განათლების ობიექტების, განსაკუთრებით სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. წყაენებენ ვერ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს საყდიცინო მომსახურების დონე. სერიოზულ შეცდომებს უშვებენ დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხებში, არ არის სათანადო სანეტარიული წესრიგი. არ განხორციელებულა მშრომელთა დასვენების გაუმჯობესების ეფექტიანი ღონისძიება. ბევრი კულტურის სახლი და კლუბი ცარიელია, ზოგიერთი კი ავარიულ მდგომარეობაშია.

არ განხორციელებულა ენერგიული ღონისძიებანი უშრომელი შემოსავლის მიღების აოხრების ჩასაკეთად, განსაკუთრებით აგროსამრეწველო კომპლექსში. 1981-1986 წლებში გამოვლინდა 12 მილიონ მანეთისაზე მეტი ფულადი და მატერიალური საშუალების უკანონო ხარჯვა, დანაკლისი და დატაცებანი. ამას წინათ სამართალდაცვითმა ორგანოებმა რაიკოოპკავშირის დამზადების გაერთიანებაში აღმოაჩინეს დიდი ბოროტმოქმედება მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების დროს.

არ აღმოფხვრილა კაპიტალურ მშენებლობაში თვალის ახვევის მანკიერი პრაქტიკა. უყაირათობა ახასიათებს სატრანსპორტო საწარმოთა მუშაობას. ვაჭრობის სისტემაში ყოველი შემოწმების დროს ვლინდება ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დატაცებისა და დანაკლისის მრავალი ფაქტი.

უხეშად ირღვევა მიწათსარგებლობის კანონმდებლობა, მათ შორის იმ ორგანოების ხელმძღვანელთა მიერ, რომლებიც უნდა იდგნენ სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე. ოპერატიული ვითარება რაიონში კვლავ დაძაბულია. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა შესუსტდა.

აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ პარტიის რაიკომმა, მისმა ბიუროს მუშაობა ვერ შეიგნეს და ჯეროვნად ვერ შეაფასეს დაგროვილი ნეგატიური პროცესებისა და მოვლენების სიმწვავე, სათანადო ღონისძიებანი არ განახორციელეს მათი დაძლევისათვის. ვერ მოახერხეს ზუსტად განესაზღვრათ გარდაქმნისათვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მუშაობის მთავარი მიმართულებანი და ის, რომ რაიონული პარტიული ორგანიზაციის მეცადინეობა წარემართათ უმნიშვნელოვანესი, მომწიფებული პრობლემების გადასაჭრელად.

პარტიის რაიკომის მუშაობის სტილში კვლავ არის დრომოჭმული მეთოდები და საქმისადმი ძველებური მიდგომა. დაკნინებულია პლენუმების, პარტიული კრებების, აქტივის ორგანოების როლი, ისინი სამეურნეო ამოცანების განხორციელებაში პარტიული აქტივის, ყველა კომუნისტის მუშაობის გააქტიურების, ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლების ინსტრუმენტად ვერ გადაიქცა. ქმედითი კონტროლი არ ეწევა გადაწყვეტილებებისა და დავალებების შესრულებას, შესუსტებულია საშემსრულებლო დისციპლინა როგორც თვით რაიკომში, ისე პარტიულ აქტივშიც. აპარატის მუშაკები ძირითადად დასაქმებული არიან მიმდინარე სამეურნეო საკითხებით, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ადამიანის ფაქტორის, პირველადი პარტორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების გააქტიურებას.

ასეთ პირობებში სხვა ხელმძღვანელი რაიონული ორგანოები და უწინარეს ყოვლისა რაისაბჭოს აღმასკომი ჯეროვანად დაძაბვისა და ინიციატივის გარეშე მუშაობენ, ხშირად თავს არიდებენ საკითხებს, რომლებსაც ისინი უნდა წყვეტდნენ. რაიაღმასკომი სუსტად ახდენს ზემოქმედებას ეკონომიკის ეფექტიანობის გაძლიერებაზე. სოციალური სფეროს განვითარებაზე, საკმარის ყურადღებას არ უთმობს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ორგანიზაციას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას, მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის კოოპერაციული ფორმების დანერგვას. არ იგრძნობა პროფკავშირული ორგანიზაციების როლი მშრომელთა შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებაში, წარმოების მართვაში მათი ჩაბმის საქმეში.

რაიონში გარდაქმნის მიმდინარეობის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი ის არის, რომ ბევრ ხელმძღვანელ კადრს არ სურს და არ იცის ახლებურად მუშაობა, აკლია კომპეტენტურობა. პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის აპარატების, პროფკავშირებისა და კომკავშირის კომიტეტების მუშაკთა, მთელ რიგ სამეურნეო ხელმძღვანელთა შერჩევის დროს დაუშვეს სერიოზული შეცდომები. მუშაკთა დაწინაურებისა და გადაადგილების საკითხებს წყვეტენ ვიწრო წრეში, შრომითი კოლექტივების აზრის გაუთვალისწინებლად და დაინტერესებული მონაწილეობის გარეშე. ნომენკლატურულ სამუშაოზე ხანგრძლივად არიან ერთი და იგივე პირები, რომლებიც შეეჩვევნენ არხეინ ცხოვრებას, გული არ შესტკივათ საქმისათვის, დაკარგეს ახლის გრძნობა. კადრებისადმი მაღალი მომთხოვნელობისა და მომკეთხველობის ვითარების შექმნის ნაცვლად პარტიის რაიკომი ყოველთვის როდი იჩენს პრინციპულობას მათი საქმიანობის შეფასებაში. არ იგრძნობა ზრუნვა კადრების ქმედითი რეზერვის შექმნის, ახალი ძალებით, ახალგაზრდა პერსპექტივიანი მუშაკებით აქტივის შევსებისათვის.

რაიონში არადამაკმაყოფილებლად ხორცელდება იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნა, მას კვლავინდებურად ახასიათებს ცხოვრებისაგან მოწყვეტა, ზერელობა და შაბლონი. რაიონული გაზეთი „გამარჯვება“ თითქმის არ აქვიყნებს მწვავე, კრიტიკულ სტატიებს, არ აღძრავს საჭირბოროტო საკითხებს.

ასეთი ვითარება მნიშვნელოვანწილად არის პარტიის რაიკომის, პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. აბრამაშვილის სუსტი პოლიტიკური ხელმძღვანელობის შედეგი, რომელიც არ იჩენს სათანადო პრინციპულობას და მომთხოვნელობას კადრებისადმი, გვერდს უვლის მწვავე საკითხებს, მტკიცედ არ იბრძვის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. რაიაღმასკომისა და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეები, ამხანაგები რ. დ. ჯავახშვილი და ვ. ი. ხუციშვილი, რაიკომის მბიუროს სხვა წევრები კვლავ ინერციით მუშაობენ, მიჰყვებიან მოვლენების დინებას, ხშირად ვერ ხედავენ საკუთარ ხარვეზებსა და შეცდომებს, თვითდამშვიდებას იჩენენ და გაზვიადებულ შეფასებას აძლევენ თავიანთ მუშაობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პარტიის გორის რაიკომს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო. დაუშვებლად მიიჩნიეს პარტიის რაიკომის, ბიუროს წევრების, პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. აბრამაშვილის უინიციატივო დამოკიდებულება პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის ძირეული გარდაქმნის საკითხებისადმი.

პარტიის რაიკომს დაევალა განახორციელოს არსებული ნაკლოვანებების და ხარვეზების აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი, აქტივის მთელი ძალები მოაბმაროს დაჩქარების საკვანძო მიმართულებებს, მომწიფებული პრობლემების გადაწყვეტის, ხელმძღვანელობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის არასტანდარტული გზების ძიებას, რომლებსაც საფუძვლად დაედება ცოცხალი მუშაობა ადამიანებთან, საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაფართოება, შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობას, მათი მებრძოლურობის გაზრდას, მიაღწიოს, რომ ისინი უფრო სრულად იყენებდნენ სკკპ წესდებით მინიჭებულ უფლებებსა და უფლებამოსილებას. მკაცრად დაიცვას კოლექტიურობა ხელმძღვანელობაში, გაზარდოს არჩევითი ორგანოების როლი, საბოლოოდ უკუაგდოს ადმინისტრირების მეთოდები, მიაღწიოს მეტ კონკრეტულობასა და გერგილიანობას რაიკომის ბიუროს და აპარატის საქმიანობაში, საქმით დაამკვიდროს მასში პარტიისათვის დამახასიათებელი მუშაობის ფორმები, მეთოდები და პრინციპები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა [illegible] სხვა კონკრეტული ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანიც, რომელთა მიზანია რაიონის ცხოვრების ყველა სფეროს ეარდაქმნისათვის პარტიის გორის რაიკომის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოთხვრა.

(საქინფორმი).

ამზადებენ საკვებს

გულრიფშის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში გაჩაღდა პირუტყვის საკვების დამზადება. კოლმეურნეებმა უკვე ჩადეს 380 ტონა სენაჟი, რაც საგეგმო დავალებას თითქმის ერთ-ნახევარჯერ აღემატება. მათ ვალდებულება იკისრეს ჩადონ აგრეთვე 750 ტონა სილოსი.

სურათებზე: ჩინებულად შრომობენ საკვების დამზადებაზე კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორები რაზმოკ დემირჩიანი, შამელი კვანტალიანი და ტიტიკო კაკულია; შვრის ალება.

ბ. სოკოლოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

მცენარეთა სამყაროში არ არის სხვა ისეთი კულტურა, რომელიც სოიას შეედრებოდეს ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, მინერალური მარილების და ვიტამინების შემცველობით, მათი უაღრესად ხელსაყრელი შეთანაწყობით. სოია ძვირფასი სასურსათო და საკვები კულტურაა ადამიანისა და ცხოველებისათვის, აუჭარბესებს საკვების სხვა ღირსებებსაც. როგორც ამბობენ, სოიას ერთი ტონა მარცვალი იგივე ერთი ტონა რძეა, ან ერთი ტონა ხორცია.

მიუხედავად სოიის ასეთი ღირსებებისა, მისი სიუხვისათვის მაინც ყველგან სათანადოდ არ ზრუნავენ. უფრო მეტიც, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობები სოიის თესვა-მოყვანაზე დაუსაბუთებელი მიზეზით (თუთქოს აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის სარწყავ პირობებში სოია არ მოდიოდეს) თავს იკავებენ, რაც არ არის სწორი.

უკანასკნელ წლებში დასავლეთ საქართველოს სოიის მომყვანმა რაიონებმა ამ მხრივ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. ცხაკაიას რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში შარშან სოია სამარცვლედ დათესილი იყო 1100 ჰექტარზე. აქ საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი 12,7 ცენტნერი იყო, ხოლო 400 ჰექტარ ფართობზე, რომელიც ინტენსიური ტექნოლოგიით დამუშავდა, სოიის მოსავალმა საშუალოდ ჰექტარზე 17 ცენტნერს მიაღწია.

სოია—ინტენსიური ტექნოლოგიით!

მიუხედავად ცუდი კლიმატური პირობებისა, სოიის უზვი მოსავალი მიიღო ხობის რაიონმა. აქ ინტენსიური ტექნოლოგიით დათესა 900 ჰექტარი სოია და საშუალო ჰექტარობრივმა მოსავალმა 12,5 ცენტნერს მიაღწია, ხოლო ცალკეულ მეურნეობებში — 15 ცენტნერს.

შარშან ჰექტარზე 12,5 ცენტნერი სოიის მარცვალი მიიღო აბაშის რაიონმაც, ხოლო სოფელ პირველი მაისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მოწინავე მექანიზატორმა ივანე სტორჩაკმა (შვილთან ერთად) 60 ჰექტარი სოიის ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე 17,3 ცენტნერი მარცვალი მიიწია.

ახლა, როცა სოიის თესვის გადაწყვეტი დღეებია, ერთხელ კიდევ გვინდა ამ კულტურით დაინტერესებულ მკითხველს შევახსენოთ, ხელით შრომის გარეშე, ინტენსიური ტექნოლოგიით როგორ მოვიყვანოთ სოიის უხვი მოსავალი.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს წინამორბედების შერჩევას. როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში მისი საუკეთესო წინამორბედი სიმინდი, თავთავიანები, ძირხვენები, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებია. დასავლეთ საქართველოში სოიის თესვა-მოყვანა შეიძლება აგრეთვე შუალეფური კულტურების, ტურნეფსის, რაფსის, შვრის და შვრიანარეული ერთწლოვანი პარკოსნების აღების შემდეგაც.

სოიისათვის როგორც მზრალის, ასევე ხნული თესვისწინა სამუშაოები უნდა შესრულდეს დიფერენციალურად, ხნულის ზედაპირის მდგომარეობის მიხედვით. სარეველების მოსასპობად საჭიროა ნიადაგი კარგად გავაფხვიეროთ და ზედაპირული რელიეფი მოვასწოროთ.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სოიის დასათეს ფართობში მინერალური სასუქების გამოყენებას, კერძოდ, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები ძირითადი ხვნის წინ კარტოგრამების მიხედვით უნდა შეეტანოთ; აზოტოვანი სასუქები კი ნაყოფიერ ნიადაგებში მცირე დოზით უნდა შეეტანოთ.

სოიის ნათესის მოვლა უნდა დავიწყოთ, როცა აღმონაცენი განავითარებს 2-3 ნამდვილ ფოთოლს. ამ პერიოდში ნათესი უნდა დაიფარცხოს მსუბუქი ფარცხით (ზიგზაგით) — ერთჯერად ან ორჯერად. ნათესის პირველი კულტივაცია უნდა მოხდეს 5-6 ნამდვილი ფოთლის ფაზაში, ხოლო მეორე და მესამე კულტივაცია — 10-12 დღის ინტერვალით. პირველი კულტივაციის პარალელურად საჭირო შემთხვევაში ნათესი უნდა გაითოხნოს.

აღმოსავლეთ საქართველოში სოია ვეგეტაციის პერიოდში მოითოხვს 2-3-ჯერ მორწყვას, განსაკუთრებით ყვავილობისა და დაპარკების ფაზაში. რწყვა კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე იმერეთის დაბლობ ზონაში (წყალტუბო, სამტრედია, წულუკიძე).

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოიის მარცვლის დროზე აღებას. წარმოებაში ხშირია შემთხვევები, როცა სოიის მარცვლის მცირე მოსავალი ძირითადად უდროოდ აღებით არის გამოწვეული. ამიტომ სოიის მარცვლის მოსავლის აღება უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა მცენარეს ფოთოლი ჩამოსცვივა, პარკები მუქ-ყავისფერს მიიღებს და მარცვალში ტენიანობა 20-22 პროცენტი იქნება.

სოიის მწვანე მასა ფართოდ გამოიყენება მაღალხარისხოვანი ვიტამინოვანი ფქვილის დასამზადებლად. საამისოდ სოია ხორბლის სათესი მანქანით შეიძლება დავთესოთ, მაგრამ ამ დროს თესვის ნორმა უნდა გადიდდეს.

სეზონში ვიტამინიანი ფხვნილის დამამზადებელი აგრეგატების თანაბრად დატვირთვის მიზნით უმჯობესია სოია დაითესოს სხვადასხვა ვადებში და ამასთან ერთად სხვადასხვა ვეგეტაციის მქონე ჯიშები (საადრეო, საშუალო, საგვიანო).

ახლა ამოცანა ის არის, რომ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც მიმდინარე წელს დაგეგმილია სოიის თესვა-მოყვანა, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ამ დიდი სამუშაოს შესრულებას, რათა 1987 წელს გადაჭარბებით შესრულდეს სოიის მარცვლის როგორც სახელმწიფო ჩაბარების, ასევე წარმოების გეგმები.

ვ. კობეშავიძე,
საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკვები და შუალედური კულტურების განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ა. ბერაია,
ამავე ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო საცდელი სადგურის კოლხეთის ფილიალის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საკვებწარმოებას—მეტი ყურადღება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა „მეცხოველეობის საკვები ბაზის განსამტკიცებლად საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის IV პლენუმის დადგენილების შესასრულებლად ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის „გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობის“ საკითხი. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ამ კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ამხ. მ. მ. საარიანი) და პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ამხ. მ. ვ. ტოროსიანი) უკანასკნელი წლების მანძილზე განახორციელეს მეცხოველეობის განვითარების, მისი საკვები ბაზის განმტკიცების მთელი რიგი ღონისძიებანი.

მეთერთმეტე ხუთწლედის წლების მანძილზე და 1986 წელს აქ გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის ყველა ძირითადი პროდუქტის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. რძის საშუალო ნაწველის მაჩვენებელი გაიზარდა 395 კილოგრამით და მიაღწია 2817 კილოგრამს. გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

ამავე დროს კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ ინტენსიური ტექნოლოგიების, მეურნეობრიობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვის საფუძველზე ხორციცა და რძის წარმოების ზრდის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების რეზერვებს.

დაბალია მეცხოველეობის გაძღოლის კულტურა. უხეშად ირღვევა პირუტყვის მოვლა-შენახვისა და კვების ნორმები და წესები. ბევრ შრომატევად პროცესს ხელით ასრულებენ. არ შეუქმნიათ ელემენტარული საწარმოო-საყოფაცხოვრებო პირობები ფერმების მუშაკებისათვის.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, პარტიული ორგანიზაცია და სპეციალისტები სათანადოდ არ მუშაობენ საკვებწარმოებისა და საკვების დამზადების ინტენსიფიკაციისათვის, მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემების დანერგვისათვის. ნელა იზრდება ნიადაგის ნაყოფიერება და საკვები კულტურების მოსავლიანობა.

სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტმა, გამგეობა და სპეციალისტები საკმარისი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის IV პლენუმის მიერ განსაზღვრული ამოცანების შესრულებას. მეურნეობაში არ შეუმუშავებიათ საკვები მინდვრის რაციონალური გამოყენების, კულტურების მოსავლიანობის გადიდების, დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა კომპლექსი. კოლმეურნეობაში კონტროლს არ უწევენ საკვების ხარჯვას — ამ საქმეში ვლინდება გულგრილობა და უპასუხისმგებლობა, შექმნილია მისი დანაკარგებისა და გაფუჭების პირობები.

მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების ესა და სხვა ძირითადი საკითხები ჯეროვნად არ ასახულა კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტისა და გამგეობის მუშაობაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის IV პლენუმის მასალები და საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის ამოცანები მეურნეობაში განხილული ფორმალურად. ამასთან დასჯერდნენ საქმის ვითარებისა და მიღწეული მიჯნების კონსტატაციას ისე, რომ არ გამოუვლენიათ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების მიზეზები, არ განუსაზღვრავთ მათი აღმოფხვრის გზები.

მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარებისა და საკვებწარმოებში ძირეული გარდატეხის პრობლემების გადაჭრისადმი ასეთი ზერელე და არასაქმიანი მიდგომის შედეგად სოფელ ხანდოს კოლმეურნეობაში მეთორმეტე ხუთწლედის წლების მანძილზე დაისახა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საკვების დამზადების მოცულობის შემცირებას მიღწეულ დონესთან შედარებით. თითქმის მიღწეულის დონეზე დაგეგმეს პროდუქტიულობა სარძევე მესაქონლეობაში.

სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტი გამგეობასთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად საჭირო ზომებს არ იღებს, რათა მეცხოველეობასა და საკვებწარმოებაში დანერგოს სამეურნეო ანგარიში, კოლექტიური იჯარა, შრომის ორგანიზაციის, წარმოების მართვის სხვა პროგრესული ფორმები, ვერ უზრუნველყო შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება. 1986 წელს კოლმეურნეთა 35 პროცენტს მონაწილეობა არ მიუღია საზოგადოებრივ შრომაში. ფრამალური ხასიათი აქვს შეჯიბრებას, იშვიათი როდია შემთხვევები, როცა კისრულობენ ვალდებულებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინათ მიღწეულ შედეგებს.

სათანადო ყურადღება არ ეთმობა კომუნისტთა სწორ განაწილებას, მეცხოველეობაში დაბალია პარტიული ფენა, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე პარტიაში მიღებული ოცი წევრიდან მხოლოდ ერთია ფერმის მუშაკი.

სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების განვითარებაში არსებულ დიდ ხარვეზებზე ჯეროვანი რეაგირება არ მოუხდენიათ ახალქალაქის რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს.

რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ ვერ უზრუნველყო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებული საწარმოო პოტენციალის მაღალეფექტიანი გამოყენება, მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის საფუძველზე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის რეზერვების სრული ათვისება. საკვებწარმოებას ნაკლებ კაპიტალურ დაბანდებებს ახმარენ, არ გამოყოფენ საკმარისი რაოდენობის მინერალურ სასუქებს. ნელა იზრდება ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების პროდუქტიულობა.

პარტიის ახალქალაქის რაიკომს სრულად არ გაუჩაღია მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის IV პლენუმის დადგენილების შესასრულებლად, ჯეროვნად არ ახმარდა საზოგადოებრივ მეურნეობათა პირველადი პარტორგანიზაციების მეცადინეობას პლენუმის მიერ დამტკიცებული საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის მიზნობრივი პროგრამის შესრულებას. მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისათვის მეცხოველეობის განვითარების ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით მთლიანად რაიონში განსაზღვრულია მნიშვნელოვნად უფრო დაბალი მიჯნები, ვიდრე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის მიერ არის გათვალისწინებული.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი ჯეროვან დახმარებას არ უწევს ახალქალაქის რაიონს აღნიშნული პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მუშაობა, რომელსაც ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია ეწევიან მეცხოველეობის საკვები ბაზის განსამტკიცებლად, საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის IV პლენუმის დადგენილების შესასრულებლად, არასაკმარისად ცნო და აღნიშნა, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნებს.

პარტიის ახალქალაქის რაიკომს დაევალა გააძლიეროს კონკრეტული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა საზოგადოებრივ მეურნეობათა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან და შრომითს კოლექტივებთან, რათა მათ მიაღწიონ დიდ საწარმოო-ეკონომიკურ მაჩვენებლებს აგროსამრეწველო კომპლექსში; სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომთან და რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებასთან ერთად მიიღოს ზომები იმ მიზნით, რომ მკვეთრად გაუმჯობესდეს საქმის ვითარება მეცხოველეობასა და საკვებწარმოებაში, მეცხოველეობის მუშაკთა და საკვებმომპოვებელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ კონტროლი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის IV პლენუმის დადგენილებისა და მის მიერ დამტკიცებული საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის მიზნობრივი პროგრამის შესრულების მიმდინარეობისადმი, განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა სავსებით მომზადებული შეხვდნენ 1987 წლის საკვების დამზადების კამპანიის დაწყებას. წარმართონ იგი მაღალ ორგანიზაციულ დონეზე და უდანაკარგოდ.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა უნდა უზრუნველყოს, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მზად იყვნენ საკვების დამზადების სეზონის დაწყებისათვის, რომ იგი განხორციელდეს შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ; განახილოს მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში ახალქალაქის რაიონისათვის საჭირო დახმარების გაწევის საკითხი.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალა მუდმივი კონტროლი დაუწესოს საკვების დამზადებას, მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მის ხარისხსა და საიმედო შენახვას.

(საქინფორმი).

ეკალას ჩვენი წინაპრები საკვებად უხსოვარი დროიდან იყენებდნენ. იგი დიეტური, ცილებით მდიდარი მცენარეა და ქართული ეროვნული კერძების დასამზადებლად გამოიყენება, რომელიც ნებისმიერ სუფრას ამშვენებს. ეკალა შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, მინერალურ ნაერთებს, რომლებიც საჭმლის მომნელებელ ფუნქციებზე სასიკეთო გავლენას ახდენს. მისგან მზადდება შესანიშნავი კერძები ნიგვზითა და სანელებლებით შეკმაზული. იხმარება აგრეთვე საქმელ ზეთში ხახვთან ერთად მოთუშული. მას მწნილადაც იყენებენ. სეზონში (აპრილ-ივნისში), როცა ეკალას ნაზი ყლორტებისაგან დამზადებული კერძები ესვებს ამ ნაკლს. თადარიგიანი დიასახლისი თავისებური ტექნოლოგიით დაკონსერვებულ ეკალას ზამთრისთვისაც ინახავდა.

ეკალას დამზადებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ბოლო წლებში მისმა დამზადებამ და გადამუშავებამ იმატა, მაგრამ, სამართლე რომ ვთქვათ, ყველა საკონსერვო ქარხანა ერთნაირად, ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტი დაცვით როდი ამუშავებს მას. ზოგან ნახევარკილოგრამიან და კილოგრამიან ქილებში დაკონსერვებულ ეკალას სავაჭრო ორგანიზაციები დროულად ვერ აწვდიან მომხმარებელს. და თუ აწვდიან, ბუნების ამ ნობათის სიკეთეს სათანადო რეკლამას ვერ უწევენ. მომხმარებელმა, რომელსაც გ

ფხიზელი გუშაგები

1918 წლის 28 მაისის ღირსსახსოვარი დღიდან, როცა ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა სახკომსაბჭოს დეკრეტს „სასაზღვრო დაცვის დაწესების შესახებ“, ჩვენი ქვეყნის საზღვრების საგუშაგოზე დგანან სასაზღვრო ჯარები. ისინი ფხიზლად იცავენ სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრებს, ყოველდღიურად ავლენენ მამაცობასა და მამაცობას, რითაც საბჭოთა ხალხის სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭეს.

ჩვენი ჯარების საბრძოლო გზა გმირობისა და სიმამაცის, საკუთარი ხალხის თავდადებული სამსახურის გზაა. ჯარების სახელოვანი მატიანის ყოველი ფურცელი ასახავს მესაზღვრეთა უსაზღვრო ერთგულებას პარტიის საქმისადმი, მათს გულადობასა და გამჭრიახობას, მტრის ყოველგვარი ხრიკების გამოცნობისა და ჩაფუშვის უნარს. ვერავინ მოადუნა ფელიქს ძერჟინსკის მოწაფეთა სიფხიზლე — ყველაზე გამოცდილმა იმპერიალისტურმა აგენტებმაც კი. ვერაფერმა შეარყია მესაზღვრეთა ვაჟკაცობა და სიმტკიცე, სიკეთილის საფრთხეზეც კი. სამშობლოს საზღვრების დაცვის ისტორია იწერებოდა მისი საუკეთესო მეომრების სისხლით, რომელიც მათ დაღვარეს ბრძოლაში მრავალრიცხოვან ბანდებთან ამიერკავკასიის საზღვარზე, ბასმაჩებთან შუა აზიაში, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ფორმირებებთან დასავლეთ და სამხრეთ მიჯნებზე, იაპონელ სამურაებთან შორეულ აღმოსავლეთში, ურიცხვ ორთაბრძოლებში მტრის მსტოვრებთან.

მესაზღვრეებმა საკადრისი პასუხი გასცეს მტრის მასიურ შემოტევას ჩვენს საზღვრებზე ომისწინა პერიოდში. მათ შორის აღიზარდნენ სამსახურის ნამდვილი ოსტატები, რომელთა ანგარიშზეა საზღვრის ასობით გაუვნებლებული დამრღვევი. მაგალითად, ჩვენმა სახელოვანმა კვალმაძიებელმა ნიკიტა კარაცუპამ 467 ჯაშუში, დივერსანტი და კონტრაბანდისტი დაიჭირა.

სასაზღვრო ჯარების საბრძოლო მატიანეში გმირულ ფურცლად შევიდა 1941 წლის 22 ივნისის ღამე. ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე იდგა ჩვენი 485 სასაზღვრო საგუშაგო, რომლებმაც პირველებმა მიიღეს ჰიტლერული ურდოების დარტყმა. მხოლოდ ის მხოლოდ მსუბუქი სასროლი იარაღით აღჭურვილი მესაზღვრეები არ შეეპუენ მტერს და საზღვარი მხოლოდ ბრძანების შემდეგ დატოვეს.

არმიისა და ფლოტის მეომრებთან ერთად მესაზღვრეები მამაცურად იბრძოდნენ დიდი სამამულო ომის ყველა ფრონტზე. ისინი მონაწილეობდნენ გმირი ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის, კიევისა და ოდესის, სევასტოპოლისა და ქერჩის, ნოვოროსიისკისა და სტალინგრადის დაცვაში, იჩენდნენ თავგანწირვას კავკასიისა და იმიერპოლარეთის დაცვისას, კურსკის რკალზე და ბალტიისპირეთში გამართულ ბრძოლებში, ვარშავისა და პრაღის, ბუდაპეშტის, სოფიის, ბელგრადის განთავისუფლების და ბერლინის აღების დროს. ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენი ოლქის ჯარების მატიანეში საბჭოთა კავშირის გმირების ივანე ბოგატირის, ლუკა დუდკოს, ნიკიტა კიმბანოვის, ივანე გოლუბეცის, გრიგოლ კუროჩიატნიკოვის, პეტრე გუტვინის, პეტრე ტარანისა და სოციალისტური სამშობლოს მრავალი სხვა ერთგული შვილის სახელები.

დიდი დრო გავიდა იმ მძიმე განსაცდელიდან, მაგრამ იმ ჯარისკაცების უკვდავი გმირობა, გაერდინი რომ გადაეფარნენ სამშობლოს, არასოდეს წაიშლება საბჭოთა ადამიანების მეხსიერებაში. ისინი ჩირაღდნებივით

გენერალ-ლეიტენანტი
გ. ა. ზგერსკი,
სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი

უნათებდნენ გზას საზღვრის გუშაგთა ახალ თაობებს, მატებენ მათ გოლიათურ ძალას, ფრთას ასხამენ პატრიოტული საქმეებისათვის მამულის სადიდებლად.

გონების თვალს რომ ვავლებთ წარსულს, ვხედავთ, თუ როგორი გასაოცარი ცვლილებები მოხდა სასაზღვრო ჯარებში. კარაცუპას დროს მესაზღვრეს საზღვრის დამრღვევის დევნისას მარტო საკუთარი თავის და ცხენის იმედი თუ ჰქონდა. დღეს კი საზღვრის გუშაგების განკარგულებაშია უმაღლესი კლასის სხვადასხვა ტიპის ავტომობილები, ჯავშანტრანსპორტიორები, ვერტმფრინავები და თვითმფრინავები. საზღვაო საზღვარს ისინი სწრაფშავალი საყარაულო გემებით იცავენ.

ახლა თვითონ საზღვრის დამცველები როგორ გიპასუხებენ! თუ დიდ სამამულო ომამდე პირადი შემადგენლობის მხოლოდ ხუთ პროცენტს ჰქონდა საშუალო განათლება, ახლა ასეთი განათლება აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს. თითქმის ყველა ჩვენი მეომარი კომკავშირელია. დღეს პრაქტიკულად ყოველ მესაზღვრე ოფიცერს აქვს უმაღლესი სამხედრო, სამხედრო-პოლიტიკური ან სპეციალური განათლება. ოფიცერთა თითქმის მთელი შემადგენლობა კომუნისტები არიან. უმაღლესი სასაზღვრო სამხედრო სასწავლებლები, რომლებიც კადრებს უმზადებენ საზღვრებს, ჯარებს უზრუნველყოფენ ერუდირებული მეთაურებით და პოლიტმუშაკებით, თავისი საქმის ნამდვილი სპეციალისტებით.

ჩვენი ჯარების მთელი თანამედროვე სახე გამოხატავს საბჭოთის დიდ ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და სულიერ პოტენციალს. მაგრამ მთელი ამ ცვლილებების მიუხედავად იოლს მაინც ვერ დაარქმევ იმ გზებს, რომლებითაც დღეს მესაზღვრეები დადიან. მათი მხედრული სამსახური სასაზღვრო დღე-ღამის პირველიდან ბოლო წუთამდე აღსავსეა დაძაბული და უწყვეტი შრომით, რომელიც მამაცობასა და ამტანობას, საბრძოლო და სპეციალურ ოსტატობას მოითხოვს. და თუ დღეს მრავალი მესაზღვრის მკერდზე კიაფობს „მხედრული წარჩინების ნიშანი, თუ საუკეთესო მეომრები დაჯილდოებული არიან სახელმწიფო ჯილდოებით, ეს ყველა სიტყვაზე უკეთ მოწმობს, რომ ისინი თავს ართმევენ მათთვის დაკისრებულ ამოცანებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების საუკეთესო საბრძოლო ტრადიციებს განასახიერებენ და ჩვენს სიამაყეს წარმოადგენენ ანდრია ბაბუშკინის, ტიმოთე ლუქშინის, ნიკოლოზ გოლუბნიცკის, ივანე ლატიშის, პეტრე საიკინის, ივანე ვასიუხნის, ალექსანდრე კორიაკოვის, პეტრე გუტვინის სახელობის საგუშაგოები. ისინი მოწინავენი არიან ყველა საქმეში, იჩენენ ბევრ სასარგებლო თაოსნობას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენი საზღვაო თუ სახმელეთო საზღვრების უშიშროებას. როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, ჯერ კიდევ არ გამოლეულან ადამიანები, რომლებიც არად აგდებენ არც ჩვენი ქვეყნის და არც ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებს და ლამობენ გაამწვავონ მდგომარეობა საბჭოთა საზღვრებზე.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი პარტნიორების სპეცსამსახურები დღეს განსაკუთრებით აქტიურად და მასობრივად ეწევიან ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ტოტალურ ჯაშუშობას, აწყობენ იდეოლოგიურ დივერსიებს. ცინიკურად თელავენ რა ფეხქვეშ საერთაშორისო სამართალს, ისინი ჩვენს ქვეყანაში გზავნიან თავიანთ აგენტებსა და ემისრებს. ცდილობენ სსრ კავშირში იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების, ნარკოტიკების, სპეციალური რადიოსაშუალებებისა და პორტატიული სამრავლებელი ტექნიკის, ძირგამმთხრელი ხასიათის ნაბეჭდი მასალის შემოტანას. მესაზღვრეებს უზდებათ ათასნაირი ხრიკების გახსნა, რათა წინააღუდგნენ მტრულ საქმიანობას. მათ ღრმად აქვთ შეგნებული, თუ რაოდენ პასუხსაგები პოსტი მიანდო სამშობლომ.

სწორედ მოვალეობის გრძნობა ამძრავებდათ დამრღვევთა სძიებელი მოქმედების დროს იმ საგუშაგოს მესაზღვრეებს, სადაც ეფრეიტორი იური დეგტიარი მსახურობს. სამხრეთი ყოფნისას რიგითმა ალექსანდრე დრონკინმა პოსტიდან მნიშვნელოვან მანძილზე ორი უცნობი შენიშნა. მესაზღვრეებმა მყისვე შეატყობინეს ეს საგუშაგოს დაოქმედება დაიწყეს. მათ გადაწყვიტეს არ ჩაერთოთ პროვოკატორი, ვინაიდან ამუშავებული ძრავის ხმა და კაშკაშა სინათლე დამრღვევებს მიახვედრებდა, აღმოჩენილი ვართო და რამდენიმე წამს მოაგებინებდა უკან დასაბრუნებლად. სამხრის უფროსმა ეფრეიტორმა ი. დეგტიარმა სხვანაირად მოქმედება ამჯობინა. მეომრებმა სრულად გამოიყენეს ადგილმდებარეობის საუცხოო ცოდნა და შეძლეს საჭირო უბანზე სწრაფად და მალულად წაწევა, მისი საიმედო ბლოკირება, ამის შემდეგ კი — მსტოვრების დაკავება, რომლებიც არსებითად მახვში მოექცნენ. დანარჩენი უკვე, როგორც ოტყვიან, ტექნიკის საქმე იყო, თუმცა, საბოლოოდ დამრღვევი ორი კი არა, რამდენიმე აღმოჩნდა: დანარჩენები გვერდით იპოვეს, ბუჩქნარით დაფარულ ხეობაში.

ასეთი მაგალითი ცოტა როდია. ასრულებენ რა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის ამოცანებს, ჩვენი მეომრები მარტო არ მოქმედებენ. იმის მსგავსად, როგორც მიწაში ღრმად ფესვგადგმული ხე საზრდოობს მისი წვენით, ხალხთან მჭიდროდ დაკავშირებული სასაზღვრო ჯარებიც მისი მუდმივი მხარდაჭერით საზრდოობენ. წლითიწლობით მტკიცდება და ვითარდება მწვანეკუდიანი მეომრების საქმიანი კავშირი საზღვრისპირეთის მოსახლეობასთან. იზრდება სახალხო რაზმების რიცხვი, ძლიერდება მათი დახმარება საზღვრის ქვეგანაყოფებისადმი. ბევრ დამრღვევს აკავებენ მეორე ხაზის ფხიზელი მებრძოლები, ბევრსაც მათი სიგნალების წყალობით.

აქტიურად გვეხმარებიან მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების რაზმების წევრები, პიონერები და მოსწავლეები. და გასაკვირი არ არის, რომ საზღვრისპირეთის ბევრ მცხოვრებს, მათ შორის ჯერ სულ ყმაწვილებს, მიენჭათ მესაზღვრეთა აქტიური დახმარებისათვის საპატიო ჯილდო — მედალი „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“. მათ შორის არიან რაზმელები ვ. ბეკანიძე, ი. თავდგირიძე, ე. თედორაძე, თ. გოგიაშვილი, ვ. მამულაძე, შუახევის რაიონის სამოლეთის საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე პიონერი იზოლდა ბერიძე და სხვები.

საზღვრის მშრომელებისა და მეომრების ტრადიციული მეგობრობა მტკიცდება და ვითარდება. მასში ჩნდება ბევრი სიახლე, იხვეწება მისი ფორმები, და მესაზღვრეებიც ემადლიერებიან ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებს მუდმივი და ყოველმხრივი დახმარებისათვის, დიდი ყურადღებისათვის, რომელსაც ისინი უთმობენ საბჭოთა მოქალაქეებისათვის დიდი პოლიტიკური სიფხიზლის ჩანერგვის საკითხებს.

საბჭოთა მესაზღვრეები მჭიდროდ არიან დარაზმული კომუნისტური პარტიის გარშემო, მხურვალედ იწონებენ და უჭერენ მხარს „მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მათი მხედრული შრომის მაღალ შეფასებას, რომელიც სკკპ XXVII ყრილობაზე გამოთქვა, ისინი უპასუხებენ თავიანთი მეცადინეობის გაააქტიურებით საზღვრის დაცვაში, ახალი პატრიოტული საქმეებით.

(საქინფორმი).

• • •

სურათზე: თავიანთ ტრადიციულ-პროფესიულ დღესასწაულს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მოპოვებული ახალი წარმატებებით ეგებებიან ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო სასაზღვრო ოლქის მესაზღვრეები. ისინი ფხიზლად იცავენ სამშობლოს საზღვრებს.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

საერთაშორისო ვითარება
ფაქტები • მოვლენები

◆ გდრ

საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის

ბერლინი. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მომავალ ბერლინის შეხვედრას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება რთული და დაძაბული საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის. ეს განცხადება გაკეთა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

თათბირის დღის წესრიგშია, ხაზი გაუსვა მან, ისეთი საკანონმდებლო საკითხების განხილვა, რომელთა გადაჭრაზეც ბირთვულ-კოსმოსურ საუკუნეში დამოკიდებულია თვით კაცობრიობის ცივილიზაციის არსებობა. საქმე ეხება პრაქტიკულ ღონისძიებებს შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების, უბირთვო მსოფლიოსა და საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის მიზნით. ეს ეხება შეიარაღებული ძალებისა და ყველა სახეობის შეიარაღების მკვეთრი შემცირების წინადადებებს.

ახლაც და მომავალშიც ვერც ერთი სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს უშიშროებას მხოლოდ სამხედრო საშუალებებით. ეს სულ

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

▼▼

უფრო მეტად იძენს პოლიტიკური გზით გადასაწყვეტი ამოცანის ხასიათს. სწორედ ამისათვის არის საჭირო აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ხელმწიფოთა შორის ნდობის კლიმატის დამყარება. თათბირი, რომელიც დაადასტურებს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითს ხასიათს, ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს. ურთიერთგაგება და ნდობა დღესდღეობით ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ მშვიდობიანი ურთიერთობის საიმედო საფუძველია. იმედი გვაქვს, ხაზი გაუსვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, რომ ბერლინის თათბირის გადაწყვეტილებანი შთაგონებით აღავსებს გონიერებისა და რეალიზმის მთელ ძალებს, და დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ფართო ასპარეზს დაუსახავენ პოლიტიკური დიალოგის განგრძობას ყველასთან, ვისაც სურს მშვიდობის განმტკიცება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, თქვა მან, დარწმუნებულია, რომ ბერლინის თათბირი ხელს შეუწყობს აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ფარგლებში პოლიტიკური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური ქვეყნების თანამოქმედების გაღრმავებასა და განმტკიცებას.

◆ ჩეხოსლოვაკია

გარდაქმნა აუცილებლობაა

პრაღა. გარდაქმნა აუცილებლობაა. უამისოდ შეუძლებელია თანამიმდევრული გადასვლა ინტენსიურ განვითარებაზე, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა პრაქტიკაში დაჩქარებულ დანერგვაზე. ეს ხაზგასმით არის აღნიშნული ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის კარელ ჰოფმანის მოხსენებაში, რომელიც „რუდე პრავოში“ გამოქვეყნდა. მოხსენება მან გააკეთა კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, ვაჭრობისა და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების პარტიულ მუშაკთა აქტივზე.

ჩეხოსლოვაკიელი მშრომელები, აღნიშნა მან, მიესალმებიან სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნის პროცესს და მოუწოდებენ დაჩქარდეს ასეთივე პროცესი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში. მშრომელებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ გარდაქმნა მეტ წვლილს შეიტანს მართვის სისტემაში, ხელს შეუწყობს იმას რომ უფრო ფართოდ გამოიყენონ შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპები. გარდაქმნა გულისხმობს, რომ ხელმძღვანელი

კარელ ჰოფმანის სტატია „რუდე პრავოში“

✦✦

მუშაკები არა მარტო ილაპარაკებენ სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებაზე, არამედ, ბოლოს და ბოლოს, ყურად იღებენ მშრომელთა აზრს, როგორც ამას მოითხოვს პარტიის XVII ყრილობისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებანი.

მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც ლაპარაკობენ გარდაქმნაზე, ამისათვის მოუწოდებენ სხვებს, თავის თავს კი არავითარ მოთხოვნებს არ უყენებენ. გარდაქმნა, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაიწყოს ხელმძღვანელმა მუშაკებმა, ამასთან საკუთარი თავით. თუ ჩვენ გარდაქმნას მოვითხოვთ სხვებისაგან, თავად კი არ ვიჩვენებთ მაგალითს, ვერავითარ ცვლილებებს ვერ მივაღწევთ, — „ქვა ორატორმა. პარტიის არაერთგზის აღუნიშნავს: რაც უფრო მაღალია პოსტი, მით უფრო მეტია პასუხისმგებლობა, მით უფრო მეტია მოთხოვნა, მით უფრო მეტი უნდა იყოს პირადი წვლილი. სწორედ ასეთ მოთხოვნებს გვაყენებს გარდაქმნის პროცესი.

ახლანდელი პერიოდი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს ხელმძღვანელ მუშაკებსა და მთლიანად კადრებს. ზოგიერთი ვერ ასწრებს ფეხი აუწყოს დროს, ზოგი კვლავ ინერტულობისა და არამომთხოვნელობის ტყვეობაშია. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ახლა საკადრო ცვლილებანი უფრო მეტად ხდება, ვიდრე წინათ. პარტიის სტრატეგია ამ საკითხში ნათელია: ვისაც არ შეუძლია ან არ სურს აქტიურად მიიღოს მონაწილეობა დაჩქარებისა და გარდაქმნის სტრატეგიის განხორციელებაში, სხვებს უნდა დაუთმოს ადგილი. ჩვენს საზოგადოებას ჰყავს კვალიფიციური კადრები — კომუნისტები, სხვა პარტიების წევრები და უპარტიოები.

მთელს ჩვენს საქმიანობაში უნდა მოხდეს სერიოზული ცვლილებანი. ეს კი შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა პარტიული ორგანიზაციები, ყველა კომუნისტი თანამიმდევრულად იბრძოლებენ პარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ დაარწმუნოს თითოეული: გარდაქმნა იწყება საკუთარი თავით, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრით.

საყოველთაო აღიარება

მეცნიერები საბჭოთა კოსმოსური პროგრამის შესახებ

ვაშინგტონი. ამერიკის ქალაქ პასადენაში (კალიფორნიის შტატი) დამთავრდა მზის სისტემის კვლევის პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის მთელი რიგი ქვეყნების დაახლოებით 400 წამყვანი მეცნიერი და სპეციალისტი.

კონფერენციის მონაწილეებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა დელეგაციის წევრთა გამოსვლებში ჩამოყალიბებულმა მარსის კვლევის პროგრამამ, აღნიშნავს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“. „საბჭოთა კავშირი, — განაცხადა ბრაუნის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ჯეიმს ჰედმა, — თანდათან გვისწრებს მზის სისტემის შესწავლაში უწინარეს ყოვლისა თავისი შესაძლებლობებისა და მიღებული შედეგების თვალსაზრისით. ეს კი საკვანძო მომენტია“.

კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კოსმოსის კვლევის საბჭოთა პროგრამები ფართო პერსპექტივებს უსახავს საერთაშორისო თანამშრომლობას. დაახასიათა რა საბჭოთა საერთაშორისო პროექტი „ფობოსი“, კალიფორნიის ტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერმა ბრიუს მერეიმ ხაზი გაუსვა, რომ ამ პროექტის ფარგლებში თანამშრომლობაში ჩაბმული არიან 14 ქვეყნის მეცნიერები და სპეციალისტები, რასაც ამერიკის კოსმოსური პროგრამის ისტორიაში არა აქვს ანალოგი.

საფრანგეთის კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა ჟაკ ბლამონმა აღნიშნა, რომ თანამშრომლობის შესახებ წამოყენებული საბჭოთა წინადადებანი „მეტად მიმზიდველია“ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების მეცნიერებისათვის. „აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო არაფერს გვთავაზობს. რუსები კი მართლაც ყურად იღებენ უცხოელი კოლეგების წინადადებებს“,— თქვა ფრანგმა მეცნიერმა.

„ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს, რომ ახლანდელ მომენტამდე ამერიკის მხარე უარყოფდა საბჭოთა კავშირის წინადადებებს მონაწილეობა მიეღო მარსის კვლევის პროგრამებში, და ხაზს უსვამს, რომ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები შექმნილი სიტუაციისათვის პასუხისმგებლობას აკისრებენ პენტაგონს, რომელიც შიშობს, ვაითუ ამერიკის ტექნოლოგია რუსებს ჩაუვარდათ ხელშიო. აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ სამმართველოში პლანეტების კვლევის პროგრამის მეთაურმა ჯეფრი ბრიგსმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „უმჯობესი იქნება იმათ, ვინც გამოთქვამს შიშს, რომ შეიძლება ამერიკის ტექნოლოგია სხვებს ჩაუვარდათ ხელში, უმჯობესი იქნება იმაზე იფიქროს, თუ რა შორს წავიდა წინ თანამედროვე საბჭოთა ტექნიკა“. „ვფიქრობთ, უფრო შესაძლებელია მათი ტექნოლოგია ჩვენ ჩაგვვარდეს ხელში, ვიდრე პირიქით“, — ხაზი გაუსვა ბრიგსმა.

◆ ნიდერლანდი

დამთავრდა მუზეუმის რეკონსტრუქცია

ჰაგა. გენერალური რეკონსტრუქციის შემდეგ კვლავ გაიღება ჰაგის ფერწერის მუზეუმის „მაურიტცას სახლის“ კარი. ხუთი წლის განმავლობაში არქიტექტორებმა და მშენებლებმა პრაქტიკულად მთლიანად გადააკეთეს ჯერ კიდევ 1822 წელს აგებული შენობის დარბაზები. ცნობილ მუზეუმში, სადაც გამოფენილია XVII საუკუნის ჰოლანდიელ ფერმწერთა, მათ შორის რემბრანდტის, ჰალსისა და ვერმერ დელფტელის 800-ზე მეტი ტილო, დაყენებულია კლიმატური დანადგარი, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივ ტემპერატურასა და ტენიანობას, გაძლიერებულია შედეგრების დაცვის სისტემა. კედლებსა და ჭერზე წასმული განსაკუთრებული საღებავების, აგრეთვე ულტრათანამედროვე სანათების მეშვეობით სპეციალისტებმა მიაღწიეს მუზეუმის დარბაზებში სივრცული ეფექტის შეცვლას. ახლა ეს დარბაზები თითქმის ორჯერ უფრო დიდი ჩანს. რეკონსტრუქცია საერთოდ 7,25 მილიონი დოლარი დაჯდა, რაც მუზეუმმა მეტწილად იმ შემოსავლით აანაზღაურა, რომელიც მისცა საფრანგეთში, იაპონიაში, კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიო ხელოვნების შედევრების გამოფენების მოწყობამ.

დაუპატიმრეს ფირმის მუშაკები

ტოკიო. ვაშინგტონის ზემოქმედებით იაპონიის პოლიციამ დღეს დაუპატიმრა მანკანათმშენებლობის დიდი ფირმის „ტოსიბა კიკაის“ ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებსაც ბრალად ედებათ სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაში დისკრიმინაციული შეზღუდვების დარღვევა. ფირმის ტოკიოს შტაბ-ბინაში მოეწყო ჩხრეკა. პრესა წინასწარმეტყველებს, რომ ახალ სადამსჯელო სანქციებს განახორციელებენ „ტოსიბა კიკაის“ წინააღმდეგ, რომელიც კითოო ცუსინის საგანგებო ფქმით, ისადაც „უპრეცედენტოდ მკაცრად დაისაჯა“. უფრო ადრე მას ერთი წლით ჩამოერთვა სოციალისტურ ქვეყნებთან საექსპორტო ოპერაციების უფლება, რაც 38 მილიონ დოლარამდე ჯარიმას უტოლდება. ამავე დროს სანქციები განზორციელდა სავაჭრო ფირმების „იტოტიუ სეძისა“ და „ვაკო კოიკის“ წინააღმდეგ, რომლებიც შუამავლობდნენ „ტოსიბა კიკაის“ გარიგებებში.

ამ კომპანიების დევნა მას შემდეგ დაიწყო, რაც პენტაგონის მოღვაწეებმა, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან დაკავშირებულმა კონგრესმენებმა, შემდეგ კი თვით ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა კასპარ უაინბერგერმა განაცხადეს, რომ იაპონიის მთელი რიგი საექსპორტო ოპერაციები სსრ კავშირთან... „საფრთხეს უქმნის დასავლეთის უშიშროებას“. ყველაზე მძაფრი თავდასხმის ობიექტი გახდა „ტოსიბა კიკაი“, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ საბჭოთა კავშირს მიაწოდა რიცხვეული პროგრამული მართვის ოთხი ჩარხი, რომლებითაც, ვაშინგტონის თქმით, თითქოს „შესაძლებელია წყალქვეშა ნავების ხმაურის ზრახვების დამუშავება“. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატები დაბეჯითებით იმოწმებს რაღაც დაბეზღებას, რომელიც მიიღო სოციალისტურ ქვეყნებში ექსპორტისადმი კონტროლის საკოორდინაციო კომიტეტის შტაბ-ბინამ, სადაც ამერიკელები მეცადინეობენ.

დამახასიათებელია, რომ იაპონიის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ თავდაპირველად ოფიციალურად უარყო ეს ბრალდებანი. მაგრამ შემდეგ ვაშინგტონმა აგრძნობინა, რომ იგი გაამკაცრებს თავის პოზიციას ტოკიოსათვის მტკივნეულ ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობის საკითხზე, თუ „ტოსიბა კიკაი“ „სამაგალითოდ არ დაისაჯა“.

სანქციებმა ამ ფირმის წინააღმდეგ, წერს დღეს გაზეთი „ტოკიო სიმბუნი“, შეძრა ქვეყნის საქმიანი წრეები. „მწვავე სავაჭრო წინააღმდეგობის ვითარებაში, — აღნიშნავს გაზეთი, — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დიდი ხანია თავდასხმების ობიექტად გაიხადა იაპონიის ისეთი დიდი კომპანიები, როგორიც არის „ჰიტატი“, „მიცუბისი“, „ფუძიცუ“. ამჟერად ამერიკელთა სამიზნე აღმოჩნდა „ტოსიბა კიკაი“. ამიტომ ჩვენი ბიზნესმენები თანაგრძნობით ეკიდებიან ამ კომპანიას, რომელმი წინააღმდეგ გამოყენებულია სოციალისტურ ქვეყნებში ექსპორტისადმი კონტროლის საკოორდინაციო კომიტეტის წესები“.

სადაზვერვო სამმართველოს ახალი დირექტორი

ვაშინგტონი. ამერიკის დედაქალაქის ლენგლის გარეუბანში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შტაბ-ბინაში სამშაბათს ფიცი დაადებინეს ამ საჯაშუშო დივერსიული უწყების ახალ დირექტორს უილიამ უებსტერს. ბოლო დრომდე იგი თითქმის ათ წელს მეთაურობდა გამოძიების ფედერალურ ბიუროს.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელის პოსტი ვაკანტური იყო დიდი ხნის მანძილზე — დაახლოებით ოთხ თვეს — მას შემდეგ, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადადგა „ირანგეიტის“ სკანდალში გარეული უილიამ კეისი. კეისი სათავეში ჩაუდგა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს თავის პირადი მეგობრის პრეზიდენტ რეიგანის ხელისუფლების სათავეში მოსვლასთან ერთად. კეისის სიკვდილის შემდეგ თეთრ სახლს თავდაპირველად სურდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელად დაენიშნა სამმართველოს დირექტორის პირველი მოადგილე, კადრის მზვერავი რობერტ გეიტსი. მაგრამ იძულებული გახდნენ მოეხსნათ მისი კანდიდატურა, ვინაიდან კონგრესმა უკმაყოფილება გამოთქვა იმ საძრახისი როლის გამო, რომელსაც „ირანკონტრრეგოლუციონერთა“ ოპერაციაში ასრულებდა გეიტსი, ხელს აფარებდა რა მის მონაწილეებს.

ბოლოს და ბოლოს თეთრმა სახლმა თავისი არჩევანი შეაჩერა უებსტერის კანდიდატურაზე. ეს გადაწყვეტილება შემოხვევით როდი მიიღეს. მმართველ წრეებში უებსტერს დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული იმის გამო, რომ შეძლო მნიშვნელოვნად გაეფართოვებინა პოლიტიკური ძებნის მასშტაბი, რომელსაც გამოძიების ფედერალური ბიურო ახორციელებს. ვაშინგტონის ადმინისტრაციას მოაჩნია, რომ ახალი დირექტორი შეძლებს აღადგინოს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეპუტაცია, რომელიც დიდი საერთაშორისო პოლიტიკური სკანდალების ცენტრში აღმოჩნდა, კერძოდ, ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერებისათვის ი ს უკანონო დახმარების გაწევასთან და ირანისათვის იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებულ სკანდალში.

უებსტერის მიერ თანამდებობის დაკავების ცერემონიაზე გამოსვლისას პრეზიდენტი რეიგანი ხოტბას ასხამდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დამსახურებას. მან განაცხადა, რომ სამმართველო „უცვლელ“ როლს ასრულებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ასპარეზში. რეიგანმა მხოლოდ გაკვრით აღიარა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობა „ზოგჯერ წინააღმდეგობრივ მოთქმა-მოთქმას იწვევს“, და ხაზი გაუსვა, რომ „ამერიკის შეერთებულ შტატებს არ შეუძლია თანამედროვე სამყაროში არსებობა, თუ არ ექნა ძლიერი სადაზვერვო ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება სწრაფად და საიდუმლოდ მოქმედება“.

„სანამ პრეზიდენტი ვარ, არ დავუშვებ ჩვენი სადაზვერვო პოტენციალის შერყევას“, — გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

საპროტესტო აქცია

ნიუ-იორკი. ასზე მეტი კაცი მონაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების მაკონელის (კანზასის შტატი) ბაზის შესახებ-ლთან გამართულ ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაციაში. მათ დაგმეს ვაშინგტონის ადმინისტრაციის მილიტარისტული კურსი და მოითხოვეს ბოლო მოეღონ გამალებულ ბირთვულ შეიარაღებას. მანიფესტანტებმა აგრ

თეატრის მაღალი ტრიბუნა

საბჭოთა სასცენო ხელოვნების ოსტატები მზად არიან ამრავალრნ სოციალიზმის იდეები და ღირებულებანი, გახდნენ პარტიის აქტიური თანაშემწენი საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნასა და ხალხის ზნეობრივ აღზრდაში. გასული წლის დამლევს მათ სსრ კავშირის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირი დააარსეს. მაშინვე გადაწყდა, რომ ნახევარი წლის შემდეგ მოეწვიათ სრულიფლებიანი საკავშირო კონფერენცია, რათა დაემტკიცებინათ ახალი შემოქმედებითი ორგანიზაციის წესდება. 26 მაისს მოსკოვში გაიმართა ასეთი კონფერენცია.

კავშირის წესდებისა და გარდაქმნის პირობებში მისი მუშაობის ძირითადი მიმართულებების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ კ. ი. ლავროვმა. მან გააანალიზა კავშირის წესდების — მისი საქმიანობის იდეური და იურიდიული საფუძვლის პროექტი. ორატორმა დამსწრეთ აცნობა, რომ წესდების პროექტის განხილვის დროს ყურადღებით განიხილეს მიღებული შესწორებანი და წინადადებები, განსაკუთრებით ის საკითხები, რომლებიც სოციალურ-საყოფაცხოვრებო სფეროს ეხება, და გათვალისწინებულია დოკუმენტის ტექსტში. გათვალისწინებული და დეტალიზებულია პარაგრაფებიც, რომლებიც უკავშირდება ეროვნული თეატრალური სასწავლებლების გამოცდილების შესწავლას და სსრ კავშირის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის სტიპენდიების დაწესებას თეატრალური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის. დაფიქსირებულია კავშირის უფლება მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირის ლენინურ და სახელმწიფო პრემიებზე წარდგენაში და სპპიტიო წოდებათა მინიჭებაში. დაზუსტდა პარაგრაფები, რომლებიც აკავშირებენ კავშირის ურთიერთობას „კულტურის სამინისტროსთან, კავშირის საერთაშორისო საქმიანობასთან.

თეატრალური საქმის რეორგანიზაცია, ხაზგასმით ითქვა კონფერენციაზე, პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული დიადი განახლების ნაწილია. ახლა ღირსების საქმეა სრულად აღდგეს თეატრისადმი საბჭოთა ხალხის დიდი პატივისცემა, გახდეს ჩვენი ქვეყანა მსოფლიო თეატრის მიზდულობის ცენტრი.

ერთხმად დამტკიცდა სსრ კავშირის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წესდება.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ი. პ. ვორონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე პ. ი. სლუჩკო, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

(საკძესი).

სეტყვა კახეთში

26 მაისს კახეთს კვლავ დაატყდა თავს სეტყვა. სტიქიის შემოტევა განსაკუთრებით ძლიერი იყო ახმეტის რაიონში. — ავდარმა თითქმის 500 ჰექტარი ვენახი და 300 ჰექტარი ხეხილის ბაღი დაანახლა, — თქვა პარტიის ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა თამაზ მათიაშვილმა. — 200 ჰექტარი ვენახი პრაქტიკულად გაანადგურდა. ახლა გამალებით მიმდინარეობს დაზიანებული ნარგავების აღდგენის სამუშაოები. როგორც კი მწკრივთაშორისებში წყალი მოიკლებს, პლანტაციებში ტექნიკა შევა, რომლის მეშვეობით შეწყმალავთ ვაზს.

კახეთის სხვა რაიონებისათვის სეტყვას პრაქტიკულად არ მიუყენებია მნიშვნელოვანი ზარალი.

— ცოტა დასეტყვა მხოლოდ რაიონული ცენტრი, — ამბობს პარტიის თელავის რაიკომის მდივანი ნანი ბენდიანიშვილი — სოფლებში კი ძლიერი ქარი ქროდა და კოკისპირულად წვიმდა. ავდარს მინდვრები და ვენახები დიდად არ დაუზიანებია.

— ეს მნიშვნელოვანწილად სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის მუშაკთა დამსახურებაა, რომლებმაც შეძლეს სეტყვის ღრუბლების გაფანტვა, — ასეთი აზრისაა პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი დავთი სარიშვილი. — მათ დროულად დაიწყეს „საბრძოლო მოქმედება“ და ყინვის წვიმა ჩვეულებრივ წვიმად აქცეს, რომელმაც სასოფლო-სამეურნეო საკარგულებს ვნების ნაცვლად აკარგო.

— 26 მაისს კახეთის თავზე არაჩვეულებრივად ძლიერი სეტყვის ღრუბლები შეიყარა, — გახმარტავს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამართველოს უფროსის მოადგილე მიხეილ ჩხიკვაძე. — მათი სიმაღლე 13 კილომეტრს აღწევდა. ღრუბლებს 60 საეცხლე პოზიციიდან ესროდნენ, გაუშვეს 1300 რაკეტა. (სპპინფორმი).

დები ომმა გაყარა

შეხვედრა ორმოცდახუთი წლის შემდეგ

ხანგრძლივი ორმოცდახუთი წელი გავიდა, სანამ ღვიძლი დები დუნია და ნასტია კაბინები ერთმანეთს იპოვნიდნენ. 1942 წელს ისინი ომმა გაყარა. გოგონების უფროსი ძმა თვედორე კაბინი ფრონტზე იყო. ომისშემდგომი წლების მანძილზე თვედორე და დუნია ეძებდნენ ნასტიას. მაგრამ ამაოდ...

სევეროდვინსკში — თეთრი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქში — ევდოკია პავლეს ასული ნოჩვინა-კაბინა, ცნობილი ადამიანია. გემთმშენებლებს შორის იგი თავისი საქმის ოსტატად ითვლება. ნოჩვინა უმაღლესი კლასის შემდუღებელი, სოციალისტური შრომის გმირია.

გასულ ზამთარს არხანგელსკის ოლქის დელეგაციის შემადგენლობაში იგი მოსკოვში ჩავიდა, რათა მონაწილეობა მიეღო ქალთა საკავშირო კონფერენციის მუშაობაში. აქ მონაწილეობა მიიღო ტელეგადაცემაში.

ნასტია პავლეს ასული კი ოჯახითურთ სევეროდონეცკში ცხოვრობდა. იმ სამახსოვრო საღამოს ტელევიზიის პროგრამას უყურებდა. ანაზდად დიასახლისს სახე გაუფიფთრდა, ფეხზე წამოხტა და აღმოხდა:

— და ვიპოვე... ორმოცდახუთი წელია არ გვინახავს ერთმანეთი! ექვი არ იყო: დროს ვერ წაეშალა შობლიური სახის ნაცნობი ნიშნები.

პირველი წერილი სევეროდონეცკიდან არხანგელსკში გულგრილი ადამიანების ხელში მოხვდა. ქარწყლდებოდა მალე შეხვედრის იმედი. პასუხში მშობლად იყო ნათქვამი, არხანგელსკში ნოჩვინა არ ცხოვრობსო.

ნასტიას ქალიშვილმა, პედინსტიტუტის სტუდენტმა ოლგამ მეორედ გაგზავნა შეკითხვა. ამჯერად წერილი საოლქო სამისამართო მაგიდას გაუგზავნა. პასუხიც მალე მოიღეს!

მარტის შუა რიცხვებში ევდოკია პავლეს ასული სამუშაოდან შინ რომ დაბრუნდა, საფოსტო ყუთიდან გაბეიები და წერილი ამოიღო. სევეროდვინსკის მისამართი უცნობი ხელით იყო დაწერილი.

— ჯერ დავისვენებ და ვაბშის შემდეგ წავიკითხავო, გადაწყვიტა...

მერე კი, როცა წერილის კითხვა დაიწყო, იგი ხელიდან გაუვარდა. მეორე დღეს დილით უკვე თვითმფრინავით სევერდლოვსკში მიფრინავდა.

ალბათ ბევრ ავიამგზავრს არც კი მიუქცევია ყურადღება სევერდლოვსკის აეროპორტში ორი ქალისათვის, რომლებიც გულში იკრავდნენ ერთმანეთს, ტიროდნენ და კოცნიდნენ. ანდა, აზრად ვის მოუვიდოდა, რომ აქ შეხვდნენ ღვიძლი დები, რომლებსაც ორმოცდახუთი წელი არ ენახათ ერთმანეთი.

წინა კიდევ ერთი შეხვედრა ელით. ამდენი წლის შემდეგ შეხვდებიან ერთმანეთს და-ძმაც.

ვ. გუსკოვი,
ბ. ლინშიცი,
სევეროდვინსკი,
არხანგელსკის ოლქი.

საუბრები, კონსულტაციები

კალინინის რაიონის **სახბჭოსა** და **სახალხო მოსამართლეების არჩევნების № 5 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტი** თბილისის **პირველი საშუალო სკოლის შენობაშია** მოთავსებული. აქ **შედგენილია** მორიგეობის **გრაფიკი, იმართება** საუბრები **და** კონსულტაციები, **ამომრჩევლებს** შეუძლიათ პასუხი მიიღონ მათთვის საინტერესო **ყველა** საკითხზე.

საარჩევნო უბნის აგიტკოლექტივი ძირითადად **სკოლის მასწავლებლებისაგან შედგება.** ისინი **გულდასმით ემზადებიან** მშრომელებთან **ყოველი** შეხვედრისათვის, **სადაც** განიხილება ცხოვრებისა **და** ყოფის ბევრი **პრობლემა.**

სურათზე: თბილისის **პირველი საშუალო სკოლის მასწავლებლები,** აგიტატორები **თამარ ქაფიანიძე, ნინო** გვათუა, **ნინო** რუხაძე.

მეგობრობის მარშრუტები

მაღიარებს მოეწონათ „არმაზი“

ფვიმდა, უნგრეთის დედაქალაქში რომ ჩავედით. ავდრის მიუხედავად უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლები რკინიგზის სადგურში გველოდნენ. უმალ ვიგრძენით მასპინძელთა სითბო. სულ მალე კი, სასტუმრო „ბუდაპეშტში“ დაბინავებულები, საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად მომავალ საკონცერტო პროგრამაზე ვსაუბრობდით. მისია, რომელიც ცეკავშირის ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლის „არმაზის“ წევრებთან ერთად ცეკავშირის პასუხისმგებელ მუშაკებს დაგვეკისრა, უდავოდ საპატიო იყო.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის უშუალო მიწვევით ანსამბლს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქებში კონცერტები უნდა გაემართა სახალხო ზეიმთან — ფაშიზმის ულლისაგან უნგრეთის განთავისუფლების 42 წლისთავთან დაკავშირებით. მასპინძლებს უკვე დაეგეგმათ ანსამბლ „არმაზის“ მონაწილეობა საზეიმო საღამოებში.

ორიოდე წლის წინათ მადიარების ქვეყანაში საკონცერტო მოგზაურობაში უკვე ნამყოფი „არმაზის“ მომღერლები და მოცეკვავეები მაინც ღელავდნენ. ან რა გასაკვირია.

პირველი კონცერტი ბუდაპეშტის კაე დულას სახელობის ტექნიკურ სასწავლებელში გაიმართა. სასწავლებლის ხელმძღვანელი — უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრები მოყვრულად დაგვხვდნენ. კონცერტმა წარმატებით ჩაიარა. მორიგი კონცერტი ინდუსტრიულ ქალაქ დუნაივარაშში ელოდა კოოპერატორთა ფოლკლორულ ანსამბლს.

საზეიმო საღამოზე დარბაზი გაჩვიდი იყო. ქალაქის საზოგადოებრიობასთან ერთად ესწრებოდნენ უნგრეთში მყოფი საბჭოთა მეომრებიც. ანსამბლის გამოსვლას წარმატება ხვდა წილად. მჭუხარე ტაშით ხვდებოდნენ ყოველ ნომერს.

საზეიმო საღამოს დასასრულს მასპინძლებმა შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს წარგზავნილებს. უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების პრეზიდიუმის გენერალურმა მდივანმა ძ. ბირომ და სახალხო პარტიის დუნაივაროშის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. კარდონე